

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 19

ლოგისტიკურ-კონსალტინგური, საფოსტო კორესპონდენციის/გზავნილების საკურიერო და ტვირთების ტრანსპორტირება-ექსპედიციის, მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

22 იანვარი 2020 წელი

ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან ექსპრესი“, ს/კ: 201954965, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 105, 0119, როგორც DHL EXPRESS-ისა და DHL GLOBAL FORWARDING/FREIGHT-ის ექსკლუზიური აგენტი საქართველოს ტერიტორიაზე, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, პაატა სარიშვილის სახით, შემდგომში DHL და მეორე მხრივ სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია, ს/კ: 205162802, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვ.გომიძის ქ.#49, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი გულედანის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს¹ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას გამარტივებული საშუალებით შემდეგზე.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. DHL „შემსყიდველის“ საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად, განახორციელებს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული საფოსტო-საკურიერო მომსახურებებიდან (CPV64100000) რომელიმე ერთს ან რამდენიმე სახის მომსახურებას. „შემსყიდველის“ მიერ არჩეული ყოველი ცალკეული მომსახურების წესები და პირობები 9.2. პუნქტის დათქმის გათვალისწინებით განისაზღვრება N1; N2 დანართით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. მიმწოდებლის მომსახურებათა სრული სპექტრი მოიცავს საერთაშორისო, ადგილობრივ და დამატებით მომსახურებებს. ყოველი ცალკეული მომსახურების წესები და პირობები წარმოდგენილია N1 დანართში¹.

1.2.1 DHL-ის მომსახურებები და მათი მიღების პირობები და წესები

- კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების პირობები და წესები
- საჰაერო/სატვირთო გადაზიდვის (ცალკეული, კონსოლიდირებული და ჩარტერული) მომსახურების პირობები და წესები
- საზღვაო გადაზიდვის (საკონტეინერო სრული და ნაწილობრივი დატვირთვა, არასაკონტეინერო კონსოლიდირებული და ჩარტერული) პირობები და წესები
- სახმელეთო საავტომობილო გადაზიდვის (მულტიმოდალური, სრული და ნაწილობრივი დატვირთვა) მომსახურების პირობები და წესები
- სარკინიგზო გადაზიდვის მომსახურების პირობები და წესები
- ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღების პირობები და წესები

მუხლი 2. მომსახურების ღირებულება და გადახდის პირობები

- 2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1000.00 (ერთი ათასი) ლარს.
- 2.2 მომსახურებების საფასურის ოდენობა განისაზღვრება DHL-ის მიერ, შემსყიდველისათვის გასაწევი კონკრეტული მომსახურების გამოცხადებული ტარიფების² ან მხარეებს შორის წინასწარ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შეთანხმებული საზღაურის შესაბამისად.
- 2.3. მომსახურების საფასურის ანაზღაურება ხორციელდება DHL-ის მიერ წარმოდგენილი ინვოისისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. გადაზიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში, მხარეებს შორის განისაზღვროს გადახდის სხვა პირობები.
- 2.4. ანაზღაურება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

¹ ინფორმაცია მომსახურების წესებსა და პირობებში ცვლილებებთან დაკავშირებით გამოქვეყნდება DHL-ის ვებგვერდზე www.dhl.ge ცვლილების ძალაში შესვლიდან სულ ცოტა 10 დღით ადრე

² გამოცხადებული ტარიფების ცვლილების შემთხვევაში DHL-ი ვალდებულია აცნობოს დამკვეთს არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ანგარიშსწორება მოხდება ცვლილების შესვლამდე გამოცხადებული ტარიფების მიხედვით.

2.5. DHL-ს აქვს ტვირთზე/საფოსტო გზაზე მფლობელობითი გირავნობის უფლება დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების დროულად, სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
2.6 შესყიდვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 3. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 3.1. ამ ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. რომელიმე მხარის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 3.2. და 3.3 პუნქტებით და 7.2. პუნქტით შეთანხმებული საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო აქტებით.
- 3.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე გადაიხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- 3.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე გადაიხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, მაგრამ ჯამურად არანაკლებ 10(ათი) ლარისა.
- 3.4. ყველა კომერციული, ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია ან მონაცემები, რომლებსაც მხარეები მიიღებენ ერთმანეთისგან, მკაცრად კონფიდენციალურია. ორივე მხარე ვალდებულია, მოეციდოს ასეთ ინფორმაციას, როგორც საკუთარს და არ დაუშვას ამ ვალდებულების დარღვევა.

მუხლი 4. პრეტენზიებისა და მიმართვის წარდგენის ვადები

- 4.1. ტვირთის/გზავნილის მიღებისას მისი გარეგნულად შესამჩნევი დაზიანების ან/და დანაკლისის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია იმავე დღეს აცნობოს DHL-ს აღნიშნულის თაობაზე, მოითხოვოს DHL-ის წარმომადგენლის დასწრება დათვალისწინებისას, უზრუნველყოს შესაბამისი აქტის შედგენა მხარეთა წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი, კომპეტენტური ექსპერტის მონაწილეობით.
- 4.2. ტვირთის/გზავნილის მიღებისას გარეგნულად შეუმჩნეველი დაზიანებისას, დამკვეთი ვალდებულია მიმართოს DHL-ს შესაბამისი წერილობითი პრეტენზიით ტვირთის/გზავნილის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დამკვეთის პრეტენზია DHL-ის მიმართ არ დაიშვება.

მუხლი 5. შეტყობინებების გაგზავნის წესი

- 5.1. ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ წერილობით, ფაქსით ან კურიერის მეშვეობით, ამ ხელშეკრულების 9.6. პუნქტში მითითებულ მისამართებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ურთიერთობისათვის პირდაპირ არის გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის გამოყენება.

მუხლი 6. ფორს-მაჟორული გარემოებები

- 6.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და შესრულების გაჭიანურება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად (ფორსმაჟორი - სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, ხანძარი, გაფიცვები, ბლოკადა, ემბარგო, საქართველოს ან მიმდებარე ქვეყნის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ტვირთის მოძრაობის მარშრუტზე, სატრანზიტო ქვეყნების ტერიტორიაზე, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული აქტები, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან/და შეუძლებელი გახადოს მხარეთათვის ამ ხელშეკრულებით მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და დადგენილი პირობების შესრულება და სხვა), მხარეები გააგრძელებენ ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულებას ამგვარი გარემოებების დასრულებისთანავე, ხოლო ფორსმაჟორით გამოწვეული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად.
- 6.2. თუ ამგვარი გარემოებები გრძელდება და შეუძლებელს ხდის მხარეთათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, მხარეები უფლებამოსილი არიან შესაბამისი წერილობითი შეთანხმებით მიაღწიონ მათთვის მისაღებ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.
- 6.3. იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ფორსმაჟორული გარემოებების გამო, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს, პირველივე შესაძლებლობისთანავე.

მუხლი 7. დავათა გადაჭრის წესი

- 7.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

7.2. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება მომსახურების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციებით/შეთანხმებებით, მათი დამატებითი ოქმებითა და დანართებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის წესი

- 8.1 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
- 8.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედია 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენით. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მეორე მხარის აქცეპტირების მომენტიდან.
- 8.3. ხელშეკრულების ვადამდელი მოშლა დაიშვება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის შემდეგ. ხელშეკრულების შეწყვეტამდე მხარეები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე ვალდებულებები. კერძოდ, DHL-მა უნდა დაასრულოს დაწყებული მომსახურება, თუ მისი შეწყვეტა ფაქტობრივად შეუძლებელი, ან კიდევ, ხარჯების გაწევასთან იქნება დაკავშირებული, ხოლო დამკვეთმა უნდა აანაზღაუროს განხორციელებული მომსახურების საფასური და ხარჯებიც, ასეთის არსებობისას.
- 8.4. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ამ ხელშეკრულებაში ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით და იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან. ცვლილებები და დამატებები განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

- 9.1 შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურების ამ ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლს დამკვეთის მხრიდან განახორციელებს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ქეთევან თოთლაძე, ელ. ფოსტა: Ketevan.Totladze@lma.gov.ge.
- 9.2. ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული მომსახურების წესებისა და პირობებიდან, დანართის სახით ხელშეკრულებას ერთვის მხოლოდ დამკვეთის მიერ არჩეული მომსახურებების წესები და პირობები. ხელშეკრულება არ საჭიროებს იმ მომსახურებათა წესებისა და პირობების თანდართვას, რაც შემსყიდველს არ აურჩევია.
- 9.3. ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული და დამკვეთის მიერ არჩეული წესები და პირობები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 9.4. მხარეები აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები მათი ნების გამოვლენის შედეგია, ეთანხმებიან მათ და ადასტურებენ თავიანთი ხელმოწერით.
- 9.5. ეს ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ერთმანეთის მიმართ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს.
- 9.6. მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „ჯორჯიან ექსპრესი“

მის: წერეთლის 105, 0119 თბილისი, საქართველო

ს/კ: 201954965

ტ: 2696060

ელ. ფოსტა: INFO@DHL.GE

ს/ს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის N: GE70BG000000391050200

გენერალური დირექტორი

პაატა სარიშვილი

(ხელმოწერა/ზექტი)

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო
ლაბორატორია

იურიდ. მის: ქ.თბილისი, ვ.გომიაშვილის ქ.#49

ფაქტ. მის: ქ.თბილისი, ვ.გომიაშვილის ქ.#49

ს/კ: 205162802

ტ: +995 032 2530968

ელ. ფოსტა: Ketevan.Totladze@lma.gov.ge.

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიში/სახაზინო კოდი: 707527102

დირექტორი

ირაკლი გულუდანი

(ხელმოწერა/ზექტი)

კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებას.
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას კონკრეტული პერიოდისათვის გამოცხადებული ტარიფებისა და საწვავის დანამატის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე. ამასთან, გამოცხადებული ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, DHL ვალდებულია აცნობოს დამკვეთს წინასწარ, არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ანგარიშსწორება მოხდება ცვლილების შესვლამდე გამოცხადებული ტარიფების მიხედვით.
3. სატრანზიტო დრო წარმოადგენს პრაქტიკიდან გამომდინარე საშუალო სატრანზიტო დროს ქვენების/ზონების მიხედვით და არცერთ შემთხვევაში, დამატებითი შეთანხმების არსებობის გარდა, არ წარმოადგენს გადაზიდვისათვის დათქმულ სატრანზიტო ვადას, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. სატრანზიტო დროის დაუცველობის შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებითი შეთანხმება სატრანზიტო დროსთან დაკავშირებით, DHL-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან/და ირიბ ზარალზე/ზიანზე.
4. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებით სხვა შეთანხმება კონკრეტული გადაზიდვისა, საჭიროებიდან გამომდინარე.
5. კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურება, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება ვარშავის, მონრეალის და DGR-ის კონვენციების, IATA-ს და ICAO-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.
6. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებისას, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა: 1 კუბური მეტრი=200კგ, რაც გამოითვლება შემდეგი წესით: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე (სმ.)/5000. ამასთან, გადასაზიდი გზავნილის წონად ანგარიშსწორებისას ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.
7. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით, ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადაზიდვებთან, სხვადასხვა ქვეყნებში საავიაციო სატვირთო ტერმინალებთან, ავიაკომპანიებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი, ამასთან ასეთი მომსახურების დროს, მიმღები პირის გვარი და ჩაბარების თარიღი შესაძლებელია ვერ იქნეს მიწოდებული დამკვეთისთვის.
8. რიგ შემთხვევებში, DHL, დამკვეთის მოთხოვნით, ანიჭებს მას ანგარიშის ნომერს. ამასთან, ანგარიშზე შეიძლება გავრცელდეს შემცირებული ტარიფები, რომელიც ვრცელდება მხოლოდ კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებაზე, როგორც საექსპორტო, ასევე საიმპორტო (იმპორტექსპრესი) გადაზიდვისას. ასეთი ანგარიშის ნომრის მესამე პირისთვის გადაცემა სარგებლობისათვის დაუშვებელია DHL-თან შეთანხმების გარეშე.
9. შემცირებული ტარიფების საკვალიფიკაციო მოთხოვნის საფუძველია დამკვეთის მიერ 90 კალენდარული დღის განმავლობაში არანაკლებ 15 (თხუთმეტი) გზავნილისა ან/და ჯამურად 99 კილოგრამის წონით (რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 გზავნილისგან) გაგზავნა/მიღება ნებისმიერი მიმართულებით.
10. იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის ზღვრული ღირებულება აღემატება თითოეულ ფაქტობრივ კილოგრამზე 1000 ლარს ან საერთო ღირებულებით 3000 ლარს, მათ შორის, იმპორტ-ექსპრესის მომსახურებით გადაზიდულ გზავნილებზე, დამკვეთი ვალდებულია, ამის შესახებ, შეატყობინოს DHL-ს წინასწარ, გადაზიდვის დაწყებამდე და მიიღოს კონსულტაცია ასეთი გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებით.
11. იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის მთლიანი წონა აღემატება 250 კგ-ს, ერთი ადგილის წონა აღემატება 50 კგ-ს, სიგრძე აღემატება 120 სმ-ს, სიგანე აღემატება 80 სმ-ს ან/და სიმაღლე აღემატება 80 სმ-ს, დამკვეთი ვალდებულია, ამის შესახებ, შეატყობინოს DHL-ს წინასწარ, გადაზიდვის დაწყებამდე და მიიღოს კონსულტაცია ასეთი გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებით.
12. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებით დაუშვებელია შემდეგი ნივთების გადაზიდვა:
 - 12.1. ცოცხალი ცხოველები

(მათ შორის მუშაუნაწილები, რეპტილიები, თევზები, უხერხემლო ცხოველები, ამფიბიები და ჩიტები)
DHL Express არ გააჩნია მათი ტრანსპორტირების შესაძლებლობა;

ადამიანის ნეშტი ან ფერფლი

მაღალი სინჯის ძვირფასი ლითონები (ნებისმიერი ძვირფასი ლითონი) (ჩვეულებრივ, და მათ შორის, ოქრო ან ვერცხლი დიდი რაოდენობით, მაგალითად ოქროს ზოდები ან ჩამოსხმული ფილები). ეს ნივთები აკრძალულია გადასაზიდვად, რამდენადაც DHL Express ქსელი არ არის აღჭურვილი მსგავსი ნივთების ტრანსპორტირების შესაბამისი დაცვის სისტემით. ამ შემთხვევაში DHL თანამშრომლები ან საკუთრება შეიძლება გახდეს კრიმინალურ პირთა სამიზნე.

ნაღდი ფული (ამჟამინდელი ეროვნული ვალუტა)

(ბანკოტები, ფულადი ნიშნები და მონეტები)

ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვების შემოტანა

(დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაპრიალებული ან გაუპრიალებელი)

ცეცხლსასროლი იარაღის ან აღჭურვილობის, ასაფეთქებელი იარაღის ან მოწყობილობის კომპლექტი

ამ ნივთების გადაზიდვა აკრძალულია DHL Express ქსელში. რამდენადაც, რიგ ქვეყნებში გადაზიდვისგან საჭიროებს სპეციალურ მოპყრობის წესსა და ლიცენზიებს. შეზღუდვები, ასევე, შეეხება მთელი მსოფლიოს მასშტაბით აეროპორტებსაც, ამგვარი ნივთების საჰაერო სივრცეში მოპყრობის წესებიდან გამომდინარე.

შენიშვნა: ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილების ტრანსპორტირებაც, ასევე, აკრძალულია

უკანონო საქონელი და სპილოს ძვალი

ნებისმიერი საქონელის ტრანსპორტირება, რაც საერთაშორისო კანონის მიხედვით ითვლება უკანონოდ, აკრძალულია. DHL Express შეიძლება ფინანსურად და სამართლებრივად პასუხისმგებელი აღმოჩნდეს ამგვარი საქონელის გადაზიდვებთან დაკავშირებით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ისეთ ნივთებს, რომლის აკრძალვაც ქვეყნის მიხედვით განისაზღვრება (მაგალითად, ალკოჰოლის ან პორნოგრაფიის შემოტანა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში) და საქონელს, რომელიც საერთაშორისო კანონის მიხედვით ითვლება უკანონოდ და შეიძლება იყოს მაგალითად, გაყალბებული ნივთები, სპილოს ძვალი და კონკრეტული ნარკოტიკი (მაგალითად, ჰეროინი, კოკაინი).

12.3. ნებისმიერი სხვა ნივთის გადაზიდვა, რომელზეც დაწესებულია აკრძალვა ან/და შეზღუდვა DHL-ის რომელიმე სადგურის მიერ.

13. აუცილებლობის შემთხვევაში, DHL უფლებამოსილია განახორციელოს გზავნილის ინსპექტირება დამკვეთისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

14. დაუშვებელია გზავნილის გაგზავნა სააბონენტო ყუთის მითითებით მისამართზე.

15. გზავნილის ჩაბარება დანიშნულების ადგილზე უნდა განხორციელდეს დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე, ამასთან, DHL-ს არ აქვს ვალდებულება, რომ გზავნილი უშუალოდ საკონტაქტო პირს ჩააბაროს.

16. გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს გზავნილის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე, შეუძლებელია DHL-ის მიერ გზავნილის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:

16.1. კომერციული ინვოისი და საჭიროების შემთხვევაში, გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;

16.2. გადაზიდვის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ზუსტ მისამართს, საფოსტო ინდექსს, საკონტაქტო პირს და ტელეფონის ნომრებს.

16.3. გზავნილის ზუსტი და დეტალური აღწერილობა (წონა ბრუტო და ნეტო, მახასიათებლები, გაზარიტები; ამასთან DHL ახორციელებს ამ ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში, დამკვეთთან შეთანხმებით, აზუსტებს მათ.

17. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გზავნილის ჯეროვანი მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვას და მარკირებას, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.

18. დამკვეთი ვალდებულია გზავნილი მზად ჰქონდეს DHL-ის ან მისი სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალების გზავნილის წამოსადებად ადგილზე მისვლის მომენტისათვის.

19. დამკვეთი DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

20. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ ავალებს DHL-ს გზავნილის საბაჟო გაფორმების წარმოებას, დამკვეთი ვალდებულია დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს გზავნილის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

21. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გზავნილის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

22. DHL ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, სერტიფიკატები და სხვა თანმხლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.
23. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული გზავნილის/გზავნილების ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.
24. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც, შესაძლოა, შეაფერხოს ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.
25. იმ შემთხვევებში, თუ შეუძლებელი იქნება დამკვეთის მიერ მოთხოვნილ დანიშნულების ადგილზე მომსახურების განხორციელება, გზავნილის მიწოდება განხორციელდება DHL-ის შესაბამის სადგურში მოკითხვამდე რეჟიმით. ასეთი შემთხვევის არსებობისას, DHL დამკვეთს გადაზიდვის დაწყებამდე აცნობებს, რომ გზავნილის მიწოდება მოხდება მოკითხვამდე რეჟიმში და იმ სადგურის მისამართს, სადაც მოხდება გზავნილის მოკითხვამდე რეჟიმში განთავსება.
26. რიგ რეგიონებში/მისამართებზე, სადაც არ ვრცელდება DHL-ის სტანდარტული მომსახურების არეალი, შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს გზავნილის ჩაბარება დამატებით საფასურის გადახდის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, DHL აცნობებს დამკვეთს, როგორც ასეთი შესაძლებლობის არსებობაზე, ასევე შესაბამისი ჩაბარების ტარიფს.
27. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ მიწოდებული ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში, მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, მისი გადაზიდვისას, შენახვისას ან/და დამუშავებისას, ფაქტობრივად, წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები, დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორც არის ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.
28. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით და საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL, საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით, უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია, მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.
29. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

საჰაერო /სატვირთო გადაზიდვის (ცალკეული, კონსოლიდირებული და ჩარტერული)
მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს ტვირთების როგორც კონსოლიდირებული, ასევე, ჩარტერული საჰაერო გადაზიდვის ორგანიზებას.
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას მხარეებს შორის შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.
3. ყოველი ცალკეული გადაზიდვის განხორციელებისას, მხარეთა შორის, უნდა შეთანხმდეს გადაზიდვის ტარიფი და გადაზიდვისათვის საჭირო გონივრული სატრანზიტო დრო.
4. საჰაერო გადაზიდვის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება, კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.
5. საჰაერო გადაზიდვის მომსახურება, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება ვარშავის, მონრეალის და DGR-ის კონვენციების, IATA-ს და ICAO-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.
6. ტვირთის საჰაერო გადაზიდვის მომსახურებისას, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა: 1 კუბური მეტრი = 167კგ, რაც გამოითვლება შემდეგი წესით: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე (სმ)/6000. ამასთან, გადასაზიდი ტვირთის წონად, ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.
7. ტვირთების საჰაერო გადაზიდვის ორგანიზების პროცესში, DHL უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადაზიდვებთან, სხვადასხვა ქვეყნებში საავიაციო სატვირთო ტერმინალებთან, ავიაკომპანიებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.
8. ტვირთების საჰაერო გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე, დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს ტვირთის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე, შეუძლებელია DHL-ის მიერ ტვირთის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:
 - 8.1. კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;
 - 8.2. გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა;
 - 8.3. გადაზიდვის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი/პუნქტები, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია;
 - 8.4. გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 8.5. ტვირთის ზუსტი და დეტალური აღწერილობა;
 - 8.6. ტვირთის შეფუთვის ტიპი, ზუსტი რაოდენობა და გაბარიტები;
 - 8.7. ტვირთის ზუსტი წონა (ბრუტო და ნეტო);
 - 8.8. სახიფათო ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახეობა, აღწერილობა, ასევე, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი ან/და MSDS;
 - 8.9. ტემპერატურული რეჟიმის ქვეშ ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვისას და დასაწყობებისას საჭირო ტემპერატურული რეჟიმი;
 - 8.10. სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (ან დოკუმენტაცია) ტვირთის შესახებ, რომელმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიაზე და უსაფრთხოებაზე (აქტიური და ძვირფასი ტვირთი, ცოცხალი ტვირთი, მალფუჭებადი, აალებადი, ბიოლოგიური და რადიოლოგიური ტვირთი, ორმაგი ღირებულების მქონე ტვირთი, დასაწყობების და ტრანსპორტირების თავისებურებანი, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული მოთხოვნები და სხვა).
9. მიწოდების პირობიდან გამომდინარე, დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვისა და მარკირებას. იმ შემთხვევაში, თუ DHL ახორციელებს ისეთ დამატებით მომსახურებას, როგორც არის, ტვირთის აეროპორტამდე/აეროპორტიდან საგზაო ტრანსპორტით გადაზიდვა, დამკვეთი ვალდებულია ტვირთი და თანმხლები დოკუმენტაცია ჯეროვნად ჰქონდეს გამზადებული DHL-ის ან მისი სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის წამოსადებად, წინასწარ შეთანხმებულ დროსა და ადგილზე დასატვირთად მისვლის მომენტისათვის.

10. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ ავალდებს DHL-ს ტვირთის საბაჟო გაფორმების წარმოებას, დამკვეთი ვალდებულია დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს ტვირთის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია.
11. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.
12. დამკვეთი, DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია, გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.
13. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.
14. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილზე, მათ შორის, მიმღებ ქვეყანაში ტვირთის მიმღების მიერ, ვალდებულია აუნაზღაუროს DHL-ს აღნიშნულით გამოწვეული ყველაწარმოებული ხარჯი თუ ზიანი.
15. დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია, სერტიფიკატები და სხვა თანხმლები დოკუმენტები) საფუძველზე, DHL ვალდებულია, უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.
16. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული ტვირთის ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.
17. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს, ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.
18. მხარეებს შორის უნდა მოხდეს შეთანხმება სპეციალური შესაფუთი მასალის, პალეტებისა და სხვა მსგავსი მასალის, ასევე, ტემპერატურული რეჟიმის, კონტეინერების დაბრუნების ან/და გაცვლის შემთხვევებისათვის.
19. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, მისი გადაზიდვის, შენახვის ან/და დამუშავებისას ფაქტობრივად წარმოიშევა დამატებითი დანახარჯები - დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორც არის: ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურების და სხვა მსგავსი ხარჯები.
20. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით და საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.
21. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული საკუთარ გადაზიდვის მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

საზღვაო გადაზიდვის (საკონტეინერო სრული და ნაწილობრივი დატვირთვა, არასაკონტეინერო კონსოლიდირებული და ჩარტერული) მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით, ახორციელებს ტვირთების როგორც მთლიანი ან/და ნაწილობრივი დატვირთვის საკონტეინერო, ასევე, არასაკონტეინერო საზღვაო გადაზიდვის ორგანიზებას.
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, მხარეებს შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.
3. ყოველი ცალკეული გადაზიდვის განხორციელებისას, მხარეთა შორის უნდა შეთანხმდეს შესაბამისი ტარიფი და საამისოდ გონივრული სატრანზიტო დრო.
4. საზღვაო გადაზიდვის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება, კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.
5. ტვირთის საზღვაო გადაზიდვა, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება ბრიტანული საზღვაო სამართლის, "ჰამბურგის წესები"-ს, IMDG-ის და IMO-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.
6. ტვირთის საზღვაო გადაზიდვისას, როგორც კონტეინერის ნაწილობრივი დატვირთვის, ასევე არასაკონტეინერო გადაზიდვის შემთხვევებში, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა 1 კუბური მეტრი=1 ტონას. ამასთან, გადასაზიდი ტვირთის წონად, ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.
7. ტვირთების საზღვაო გადაზიდვის ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია, კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადაზიდვებთან, ნავსადგურებთან, გემთმფლობელ კომპანიებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.
8. ტვირთების საზღვაო გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე, დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს ტვირთის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე შეუძლებელია DHL-ის მიერ ტვირთის გადაზიდვა, ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:
 - 8.1. კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;
 - 8.2. გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა;
 - 8.3. გადაზიდვის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი/პუნქტები, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია;
 - 8.4. გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 8.5. ტვირთის ზუსტი და დეტალური აღწერილობა;
 - 8.6. ტვირთის შეფუთვის ტიპი, ზუსტი რაოდენობა და გაბარიტები;
 - 8.7. ტვირთის ზუსტი წონა (ბრუტო და ნეტო);
 - 8.8. სახიფათო ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახეობა, აღწერილობა, ასევე, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი ან/და MSDS (უსაფრთხოების მონაცემების ფურცელი);
 - 8.9. ტემპერატურული რეჟიმის ქვეშ ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვისას/დასაწყობებისას საჭირო ტემპერატურული რეჟიმი;
 - 8.10. სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (ან დოკუმენტაცია) ტვირთის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიაზე და უსაფრთხოებაზე (აქციზური და ძვირფასი ტვირთი, ცოცხალი ტვირთი, მალფუჭებადი, აალებადი, ბიოლოგიური და რადიოლოგიური ტვირთი, ორმაგი ღირებულების მქონე ტვირთი, დასაწყობების და ტრანსპორტირების თავისებურებანი, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული მოთხოვნები და სხვა);
9. მიწოდების პირობიდან გამომდინარე, დამკვეთი ვალდებულია, უზრუნველყოს ტვირთისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვასა და მარკირებას. იმ შემთხვევაში, თუ DHL ახორციელებს ისეთ დამატებით მომსახურებას, როგორც არის, ტვირთის საზღვაო პორტამდე საგზაო ტრანსპორტით

გადაზიდვა, დამკვეთი ვალდებულია ტვირთი და თანმხლები დოკუმენტაცია ჯეროვნად ჰქონდეს გამზადებული DHL-ის ან მისი სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალების წინასწარ შეთანხმებულ დროსა და ადგილზე დასატვირთად მისვლის მომენტისათვის

10. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ ავალებს DHL-ს ტვირთის საბაჟო გაფორმების წარმოებას, დამკვეთი ვალდებულია დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს ტვირთის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია. მხარეები თანხმდებიან, რომ დატვირთვისათვის და დაცლისათვის გამოყოფილია 48 საათი, შესაბამისი საბაჟო გაფორმების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ან/და მისი მიმღები/გამომგზავნი მითითებულ დროში არ განახორციელებს ტვირთის დატვირთვის/დაცლას, მაშინ, მან, სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის მოცდენისათვის, DHL-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხარჯების სახით, უნდა აუნაზღაუროს თანხა საქართველოს ტერიტორიაზე - 100 აშშ დოლარის ექვივალენტში, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ კი - 200 აშშ დოლარის ექვივალენტში.

11. დამკვეთი ვალდებულია, შეამოწმოს შეთანხმებულ ადგილზე და დროს მიწოდებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის ვარგისიანობა და მისი ტექნიკური გამართულობა, შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის უვარგისობის, ან კიდევ, ტექნიკური გაუმართაობის გამოვლენისას, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია DHL-ს და მოითხოვოს მისი შეცვლა.

12. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

13. დამკვეთი, DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

14. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.

15. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილზე, მათ შორის, მიმღებ ქვეყანაში ტვირთის მიმღების მიერ, ვალდებულია აუნაზღაუროს DHL-ს აღნიშნულით გამოწვეული ყველანაირი ხარჯი თუ ზიანი.

16. DHL ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთისთვის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის მიწოდება შეთანხმებულ ადგილსა და დროს.

17. DHL ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, ჩატვირთვის ფურცელი, სერტიფიკატები და სხვა თანმხლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.

18. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული ტვირთის ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.

19. DHL ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.

